სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10. 10. 2025 წ.

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N97/99-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე შპს „გიო-10" ფლობს კანალიზაციის და წყლის მილების წარმოების საწარმოს.

აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო კოდია 05.26.13.022, წარმოადგენს შპს „სესილი 2008"-ს (ს/კ:245619941) საკუთრებას. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-220188.00; Y-4614813.00.

აღნიშნული საწარმო ექსპლოატაციაში შევიდა 2012 წლის აპრილში და მისი დანიშნულებაა პლასტმასის საკანალიზაციო და წყლის მილების წარმოება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-10 მუხლის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით ის დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. კომპანიას შედგენილი და შეთანხმებული აქვს შესაბამის გარემოსდაცვით სამსახურებთან საწარმოს გარემოზე ზემოქმედები შეფასების (გზშ) ანგარიში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

საწარმოს გააჩნია 2 საამქრო: კანალიზაციის მილების და წყლის მილების დამაზადებელი საამქროები, რომლებშიც ძირითად ნედლეულად გამოიყენება პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანული (ე.წ. კროშკა).

მიმდინარე პერიოდისათვის გრანულის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საწარმოში შეიცვალა გრანულის დამზადების ტექნოლოგია, კერძოდ, საწარმოში ექსპლოატაციაში შევიდა ახალი გრანულატორი, რომელშიც გრანულის გაცივება ხდება არა წყლით, არამედ, ჰაერშებერვის მეთოდით.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან, და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ ამ საწარმოს სკრინინგის ანგარიშს სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

პატივისცემით,

შპს „გიო-10" დირექტორი

გიორგი დავითაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
16. 10 2025წ.
№ 10110